№ 40
კვირა, 20 თებერვალი 1894

1877–1894

# ივერია

№ 40
კვირა, 20 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი, ეკატერინე იაკინთეს ასული ბაგრატიონ მუხრანსკისა და ნინო იაკინთეს ასული სიმონოვიჩისა,** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თვისის დედისასა, **დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკის ქვრივისას, ნატალია ვახტანგის ასულის ალექსი მესხიშვილისას,** სთხოვენ მობრძანდნენ კიროჩნის ქუჩაზე, № 33, საიდანაც ოც ამ თებერვალს, დილის ათის ნახევარზედ, გაასვენებენ კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში; იქ აუგებენ წესს და წაასვენებენ შემდეგ რკინის გზით ს. სამთავისს, საკრებულო ტაძარში დასაკრძალავად 22 თებერვალს. ეკიპაჟები იქნება კასპის რკინის გზის სადგურზედ. (1—1)

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ტელეფონი № 92. — საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

## ნავთი საუკეთესო თვისებისა
ამ ნავთს მჟვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ“
შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. ბორნიჩის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა ½ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მჟვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—1)

## ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობისაგან.
**ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა** აუწყებს თავის წევრთ, რომ კვირას, 27 მარტს ამა 1894 წელს დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა, დილის 10 საათზედ ფოთის საქალაქო გამგეობის სადგურში.

განსახილველად დანიშნულია:
1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1894 წლისათვის.
3. არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა სამის წლის ვადით იმის მაგიერ, რომელმაც თავისი ვადა სამსახურისა უკვე შეასრულა.
4. არჩევანი სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც ვადა სამსახურისა შეასრულეს და თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას.
5. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

მმართველობა საზოგადოებისა სთხოვს ბ-ნთ წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდები აქვთ კენჭის ყრაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადო კრებაზედ, საზოგადოების წესდების მე-36§-ის ძალით, წარმოუდგინონ იგი რწმუნების ქაღალდები მმართველობას სამის დღის წინად საზოგადო კრების დაწყებამდე, ესე იგი, ამ წლის 24 მარტზედ არა უგვიანეს. (3—1)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები
წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

ქართული თეატრი
კვირას, 20 თებერვალს
**მ. მ. საფაროვ-აბაშიძის**
მონაწილეობით
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

I
## რუსთაველი
ისტ. დრ. 4 მოქ. კ. მესხისა

II
## მეჯლისი იტალიელებით
ოპერეტი 1 მოქ. ოფენბახის მუზ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, საფაროვისა, მძინაროვისა და სხ. ბბ. გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, აწყურელი და სხ.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

## ტფილისი, 20 თებერვალს
—

ჩვენი მკითხველი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას ქვედა-აჭარიდან მოწერილს ამბავს, რომელიც შეეხება ვიღაც ქართველი მასწავლებელის მოგზაურობას მაჰმადიან ქართველთა ქვეყანაში.

ეს ვაჟბატონი თურმე დიდის პატივითა და ალერსით მიუღიათ. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს უცნობ ოსტატს სადვთის-მეტყველო ბაასი გაუმართავს თავის ალერსიან მასპინძლებთან და ამ ბაასში ბევრი რამ უმართებულო ულაპარაკია მაჰმადის სარწმუნოების შესახებ. ხალხი, რასაკვირველია, იმ წამსვე შემოცლია, დიდად გულ-ნატკენი დარჩენილა და უთქვამს: თუ ასეა, ჩვენის სარწმუნოების წინააღმდეგი ქართული ენა არ გვინდაო და ერთიანად თავი დაუნებებია ქართულის ენისა და წიგნისათვის. თუმცაო, დასძენს კორესპონდენტი, აქამდის დიდის ხალისით ეკიდებოდნენ ქართულის წერა-კითხვის სწავლასაო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს ქართველი პედაგოგი; არის იგი ვინმე მოხეტიალე არსება, რომელსაც არც სარწმუნოებისა გაეგება რამე, და არც სწავლისა, თუ რომელიმე ბოროტ-განმზრახველია, რომელსაც აზრად აქვს შეაძულოს ჩვენს მოძმე მაჰმადიანებს ქართული ენა დ ქართველი ერი? მაგრამ ეს სულ ერთია—უგუნური ვინმეა ეს ახალი მქადაგებელი მაჰმადის სარწმუნოების უვარგისობისა, თუ ბოროტ-განმზრახველი, ორსავე შემთხვევაში ეს ვაჟბატონი მავნებელი ბრძანებულა და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ყურადღება მიაქციოს და ფიცხლავ გამოაბრძანოს იმ ხალხიდან, რომელსაც დამშვიდება, ნუგეშისცემა და სიყვარულის მიწოდება სჭირია და არა აღელვება და თავის სარწმუნოების შეურაცხება და შეგინება.

მაგრამ, იქნება ჩვენი საუბარი გამოწვეულია, ისეთის ვინმეს ყოფაქცევის გამო, რომელმანც „თითონაც არ იცის რას იქმს“?!. ამ შემთხვევაშიც საჭიროა, რომ ასეთ უგუნურ მოგზაურებზედ ყურადღება ეჭიროს, როგორც მთავრობას, აგრეთვე თვით ხალხს, რომელსაც შეუძლია განაძევოს თავის სოფლიდან და შეატყობინონ უმაღლობელესს მოხელეს.

საუკუნოებით განცალკევებული ძმები ძლივს არის დღეს ჩვენთან შაერთა ბედნიერმა შემთხვევამ და თითოეული გონიერისა, კარგის ქართველის მოვალეობაა, რომ ეს ჩვენი ერთ-სისხლი და ერთ-ხორცი ხალხი დავიახლოვოთ, საერთო ჩვენი სამშობლო შევაყვაროთ და ცხოვრებ გავუადვილოთ.

ამ მხრით კიდეც იყო მიქცეული ყურადღება ამ საგანზედ და დღესაც თ. გრიგოლ გურიელის სახელს მოწიწებით და სიყვარულით იხსენიებს მთელი ქართველი მაჰმადიანობა. მაგრამ, საუბედუროდ, შემდეგმა თაობამ ველარ გაუწია მემკვიდრეობა თავადს გრიგოლს და ასე სასიხარულოდ დაწყებული შემოერთება დიდის ხნით განშორებულ მოძმე ერისა—დღესაც კიდევ გამოუკვლეველ მდგომარეობაშია და ძნელია იმისი თქმა—დავაფასებ ჩვენ ღირსეულად ეს დიდი ისტორიული შემთხვევა, თუ არა?

მეველე

# ახალი ამბავი
—

*** გუშინ, თებერვლის 19-ს ბატონ-ყმობის გაუქმების დღეს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა მათ ყოვლად უსამღვდელოესობათა გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს და ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის თანაშემწეობით პანაშვიდი გადიხადა მის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი, გენერლობა და მრავალნი მლოცველნი,

*** დღეს, კვირას, 20 თებერვალს, ქართულის დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 4 მოქ. დრამა „რუსთაველი“, კ. მესხის მიერ გადმოკეთებული და ერთმოქმედებიანი ოპერეტი „მეჯლისი იტალიელებით“. მონაწილეობას იღებს მ. მ. საფაროვის ასული.

*** გუბერნატორის თავ. შერვაშიძის ტფილისში დაბრუნებას მარტის 15-ს მოელიან.

*** თებერვლის 16-ს განთიადს ტფილისის სასულიერო სემინარიაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მოსდებოდა ზემო სართულში საწოლ ოთახის კარებს, მაგრამ მალე შეამჩნიეს და ჩააქრეს.

*** გუშინ დილით ტფილისის ცხენის რკინის გზის კონდუქტორებმა და მეეტლეებმა მუშაობა აღკვეთეს, რადგანაც ახლად დანიშნული ტრამვაის ვაგონების მოძრაობის უფროსი ბ-ნი სტუპსი, შეამჩნევს თუ არა კონდუქტორს ქურდობას, სამსახურში არ აყენებს და ითხოვს. თხუთმეტამდე კონდუქტორი გუშინვე დააპატიმრა პოლიციამ. ამიტომ გუშინ ცოტა ვაგონები დადიოდა და იშვიათად. რამდენიმე მთვრალი კონდუქტორი და მეეტლე დამდგარიყვნენ კუკიის ხიდზედ და ვინც-კი გაუვლიდა გვერდით, სცემდნენ. როდესაც მივიდნენ პოლიციის მოხელენი დასაპატიმრებლად, სტაცეს პოლიციელს ხელი და უნდოდათ მტკვარში გადაგდება. ამ დროს მოვიდა პოლიცმეისტრის თანაშემწე პოლიციელებითურთ და შეიპყრო კონდუქტორები. რამდენსამე პოლიციელსა სცემეს, დაუმტრიეს ხმლები და დააწყვიტეს იარაღი. გუშინ ვორონცოვის ძეგლის ახლოს, სადაც მთვრალი კონდუქტორები იყრიან თავს, ათი შეიარაღებული პოლიციელი იყო დაყენებული.

*** რუსეთის დაგვიანებულს ხუთ ექვს ფოსტას ცხრამეტსა და ოცს თებერვალს მოელიან ტფილისში.

*** ამას წინად, როგორც „ივერიაში“ იყო მოხსენებული, ავაზაკები თათრები დაეცნენ გზის დარაჯს სადგურ აღტაგლისას, ხოლო დარაჯმა ერთი ავაზაკთაგანი სასიკვდილოდ დასჭრა, რომელიც სამის დღის შემდეგ გარდაიცვალა.

*** ამ ცამეტის წლის წინად გარდაიცვალა ტფილისში ბატონიშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე, ძის-ძე ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის ირაკლი მეორისა. ბატონიშვილს, როგორც ბეჯითად გვიამბეს, დაშთენია მრავალი სხვა-და-სხვა ძვირფასი საისტორიო მასალა შესახებ საქართველოს ცხოვრებისა 1799 წლიდამ 1803 წლამდე. ყოვლად სასურველია, რომ ეს მასალა არ დაეკარგოს ჩვენს ისტორიას და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკამ შეიძინოს დასაცველად.

*** ვენეტიკში მხითარის მონასტრის ბერ-მონაზონთა შორის ყოფილა ერთი ქართველი ბერიცა. ამ ბერისაგან წიგნი მოსულია ტფილისში ერთს ძველის სიტყვიერების მოყვარულს, რომელსაც იგი ბერი სთხოვს თურმე, მიშოვნეთ როგორ-

მე პირი ქართულის ხელ ნაწერისა, რომელსაც ეწოდება „კავშირი“, თხზულება პროკლესიო. ეს თხზულება, როგორც ვიცით, უთარგმნია ქართულად მე-XVIII საუკუნეში მსაჯულად მყოფს იოანე ორბელიანს.

*** ჩვენ გვიამბეს, რომ ვითომ ტფილისის ებრაელთა პირველ დასაწყისს სკოლაში შეგირდებს ასწავლიან სხვა-და-სხვა ქართულ ხმებსაცა.

*** პარასკევ ღამეს, ამ თვის 18 ჩვენს ქალაქში ქურდობა მოხდა: გაჰქურდეს დიტიატკოვსკის ამხანაგობის მაღაზია ქაღალდისა და საკანცელარიო მასალების ვაჭრობისა გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში, სამოსამართლო პალატას ქვემოდ. გუშინ დილით გამომძიებელი და პოლიციის მოხელენი მივიდნენ მაღაზიაში და საქმის გარემოების გამოკვლევას შეუდგნენ. როგორც აღმოჩნდა, ქურდს ქუჩის კარები გაეღო; მერე მაღაზიიდამ მეორე ოთახში გასულიყო, აქედამ მესამეში, სადაც კედელში ჩადგმული ყოფილა ფულის შესანახი ზანდუკი. ამ კედელს კარები ჰქონია, ეს კარები გაუტეხია, ზანდუკი გაუღია და აქედამ ორას-ორმოცი თუმანი ამოუღია.

ამბობენ, ამ გვარად ქურდობას მხოლოდ ისეთი კაცი თუ მოახერხებდა, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა შინაური მოწყობილობა მაღაზიისაო.

*** დ. ყვირილა: ჩვენში იშვიათი ამბავი არ არის სახლების გადაწვა. ამას წინად ერთს დუქანს რამდენჯერმე მოუნდომეს დაწვა ვიღაც ბოროტ-მომქმედებმა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამ დღეებში სცადეს კიდევ იმ დუქნის გადაწვა, მაგრამ მოუცდათ. საჭიროა სასტიკი ღონის-ძიება იქმნას მიღებული დამნაშავის აღმოსაჩენად.

*** სოფ. ჩოჩხათი (გურია): 14 თებერვალს აქ ერთი უბედურება მოხდა: ქორწილში ჩხუბი მოუვიდათ ნაღვინევ ხალხს და ივ. ჯიბიეშვილმა და აზ. გუჯაბაძემ სცემეს ლავ. ავალიანსაძეს; ცემაც არ აკმარეს, სახლიდგან გარედაც გააგდეს. გაცეცხლებულმა ავალიანდაძემ მოიტანა სახლიდგან თოფი და ესროლა თოფი თავის შეურაცხმყოფელთ. ორივენი მძიმედ დასჭრა; ერთი, სახელდობრ, ჯიბიეშვილი იმავე დღეს გარდაიცვალა, ხოლო მეორეს მდგომარეობა საეჭვოა. დამნაშავე სადღაც მიიმალა და ამბობენ, ფირალად გავარდაო.

*** სოფ. ალისუბანი (შორაპნის მაზრა): 19 მარტს, წასულის წლისა, ჩვენის ახალ ეკკლესიის სახურავი ჩაიმტვრა და ჩრდილოეთის კედელიც თითქმის ნახევრობამდე დაინგრა; ამ ამბავმა დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ჩვენი ისედაც გაღატაკებული სოფელი; დღეს აქაურ მღვდლის მ. კა—ძის მეცადინეობით და შრომით, ხსენებული ეკკლესია უკვე ხელ-მეორედ დაიხურა მარსელის კრამიტით, იატაკი და კიბეებიც მზად არის და ცის კეთებასაც შეუდგნენ, ასე რომ ამ აღდგომამდის კიდეც ეკურთხება.

*** პრიუტი (ტფილის მაზრა): არა ჩვეულებრივი ზამთარი შევესწრო წელს; დიდი თოვლი დასდო და უამისოდაც შევიწროებული საქონელი, უფრო შეგვიწუხდა. ამას კიდევ გავუძლებდით, როგორც იქნებოდა, მაგრამ ჩვენი უბედურობა და, თუ გნებავთ, სირცხვილიც, ის არის, რომ ქურდობა გაგვიხშირდა საქონლისა, უფრო-კი ცხენებისა. ვაი იმის ბრალი, ვინც გაჰბედავს თავის ცხენის გაშვებას თუნდა ერთის საათის ვადით: დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იმის გზა და კვალს, რაც უნდა თავი ამტვრიოთ, ვერ შეიტყობთ, რადგან ქურდები უფრო შორ ადგილებიდამ მოსულები არიან და ნაპარავს შორს მიაქროლებენ.

არც ჩვენა ვართ ჩვენს საქმეზედ მუყაითები და არც სოფლის მოხელენი ეპყრობიან გულიანად გაჭირვებულ ხალხსა, როცა ესენი სჩივიან დაკარგულის შესახებ. ხომ მოგეხსენებათ, დროზედ მდევარი ხშირად ადვილად ხელთ მოიგდებს ქურდსაც და ნაქურდალსაც. იძულებული ვართ, ჩვენს საქონელს სულ უკანა ვსდიოთ.

*** საჩხერე: (შორაპნის მაზრა) ჩვენ გვეგონა ზამთარს გადავრჩით, მაგრამ ცხრა ამ თვეს თითქმის ალაბ-ნახევარი თოვლი მოვიდა ჩვენში. ავადმყოფობა ძალიან გავრცელებულია აქეთ უმეტესად სურდოხველა, რომელსაც ინფლუენციას უწოდებენ,

ამ სენს რომ გადაურჩეთ და, როგორმე დავიფაროთ თავი, სხვა მტრებს მაინც ვერ გადურჩებით. თუ ვისმეს რამე მტრობა აქვს, გვიპოვის მარჯვე დროს, ან მოგვპარავს რასმეს, ან სახლს დაგვიწვავს ან ცხენს კუდს მოგვიჭრის და ან ფეხებში ბორკილს შეგვიყრის და ისე დაგვაგდებს.

ამას წინად ერთმა აქაურმა ხევისთავმა გლეხმა თავის მოყვარე კაცს ფეხებში ცხენის ბორკილი შეუყარა და სამი დღე მშიერ-მწყურვალი სოფლის კანცელარიაში დააგდო. ამის მიზეზად ის დაასახელა ხევის თავმა, რომ ეგ ავაზაკია სხვა გლეხს ქალის მოტაცებაში მოეხმარაო. საბრალო ტუსაღს-კი თავისი ოჯახობა გამწარებული დაეძებდა და ვერ გაეგოთ, სადიყო, რადგან ეს კანცელარია მეორე სოფელშია. ამაზედ საქმე სწარმოებს საჩხერის სასამართლოში და ვნახოთ, როგორ დაბოლავდება.

თითონ დაბა საჩხერის შესახებ ხომ აღარა გვეთქმის-რა. ერთის სიტყვით, ღმერთმა ნუ ინებოს, ამ გვარად მივიწყებულ-მივარდნილი კუთხე კიდევ მოიძებნოს სადმე ჩვენს საქართველოში. აქ თუმცა ბოქაულიც არის, და სხვა რამ დაწესებულებაც, მაგრამ, რაც აქ უწესოება ტრიალებს, არა მგონია, სადმე იყოს. ჩხუბი, აყალ-მაყალი, ერთმანეთის ცემა-ტყება თითქმის ყოველ-დღიური ამბავია.

## დამაკვირდი

ჭის ბაყაყს, დიდ-გადაშიმულ ზღვისა რა ეცოდინება?

იაპანიში

ჩვენი მტერნიც და ჩვენი მოყვარენიც თვითონ ჩვენი საქმენი არიან.

მიდრაში

**

ყველაზე უფრო შესაზრალი სიღარიბე—მუნწობაა.

## არა, არ მინდა...

არა, არ მინდა სიცოცხლე
ტანჯული, გამწარებული,
სული შემკრთალი, დამფრთხალი,
დაგესლილ-დაშხამებული...
რად მინდა ენა მეტყველი,
თუ არის დამუნჯებული;
რას მარგებს გული გამტყდარი
და გრძნობა დაყანგებული...
ფრთებ-შეკვეცილი ოცნება,
იმედი—გაცრუებული,
სურვილი—უმღურ-უღონო,
გულს ჩაფლულ-ჩამიწებული...
ხმალი ყუაში გამტყდარი
და მკლავი დადუნებული,
სატრფო სხვის ხელში, სხვის კარზედ
მდუღარედ ატირებული...
ჩემი ოჯახი და კერა
აკლებულ-აოხრებული,
მეგობარი და მოყვასი
მიწასთან გასწორებული...
ეს სიჭაბუკე—დამჭკნარი,
უდროოდ მოხუცებული,
ქვეყნად უაზროდ, უსაგნოდ,
ბედშავად ახეტებული...
ცოცხალი კიყო, მკვდარს ვგავდე,
ზეზეურ ანდერძ-გებული?..
არა, არ მინდა სიცოცხლე
წუწკი და გაძაღლებული!...

კენტი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ამას წინად გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ სასამართლო დაწესებულებათ წევრები მოემატოთ, სახელდობრ ოცი ბრალმდებელის ამხანაგი რუსეთის ყველა გუბერნიათა შორის განაწილდესო. ამ ამბავს დიდის სიამოვნებით ეგებება გაზ. „Русская Жизнь“-ი. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ეს გაზეთი:

აქამდე გამოძიების გახიანება და უბრალოდ გახანგრძლივება ჩვეულებრივი ამბავია ჩვენს სასამართლოებში. რასაკვირველია, ყველასათვის აშკარაა რა შედეგი მოსდევს ამ გამოძიების დაგვიანებას: გამოძიების ქვეშე მყოფნი ტუსაღნი, რომელთაც ხშირად სამსჯავრო ამართლებს, განცალკევებით არიან დაპატიმრებულნი, ან სხვებთან ერთად, რაც უფრო იშვიათია, მთელის თვეობით და ხანდა-ხან, როდესაც რთული დანაშაულია ჩადენილი, მთელის წლობითაც-კი. ჩვენ ეს გარემოება ადრევე გვქონდა დანახული ჩვენის გაზეთის ერთს მეთაურს წერილში და ვამბობდით, რომ საგამომძიებლო საქმეს უნდა ეშველოს რამეო. ოცის ბრალმდებელის ამხანაგის მომატება, რასაკვირველია, კეთილად იმოქმედებს ამ საქმეზედ, მაგრამ მთელის რუსეთის სატკივარს ამ მხრივ ეს მცირე რიცხვი ახალთა მოხელეთა მაინც ვერ გაჰკურნავს.

**

რუსეთის მწერალს ა. სუბბოტინს ამას წინად ვოლგაზედ უმოგზაურნია და თავისის მოგზაურობის ამბავს ჟურნალ «Сѣверный Вѣстникъ»-ში ჰბეჭდავს და სხვათა შორის ერთი საუცხოო ანეგდოტიც ჩაურთავს შიგ. აი ეს ანეგდოტი:

ერთს რუსის გლეხს რიღასათვისაც უოკელივე განსაკუთრებულისა, და ქონებრივის უფლების ჩამორთმევა მიუსაჯა სასამართლომ. აუხსნეს მნიშვნელობა ამ სასჯელისა:

— ამიერიდგან მამასახლისად ველარ ამოგირჩევენ. გლეხმა თავი დაუკრა.

— ვეღარც მოწმედ ყოფნა შეგიძლიან. გლეხმა თავი დაუკრა.

— ვეღარც ჯარში გაგიყვანენ. გლეხმა მდაბლად დაუკრა, დაიჩოქა და შეევედრა მოსამართლეებს:

— არ შეიძლება ჩემს შვილს მიკოლკასაც ჩამოართვათ ეგ უფლებანიო.

ამ ანეგდოტს ვგონებთ განმარტება არა სჭირია.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ანარხისტი ანრი, რომელმაც ყუმბარა შეაგდო ყავახანაში, აღმოჩნდა კომუნარის პოლკოვნიკის შვილი. პოლკოვნიკი ისპანიაში გაიქცა და იქავე გარდაიცვალა; ანრის დედა პარიზის მიდამოებში სცხოვრობს. უფროსი ძმა ანრისა ანარხისტია და სამის წლით საპატიმროში ყოფნა აქვს გადაწყვეტილი. იგი დაპატიმრებულია კლერვოს საპატიმროში. 1888 წელს ანრის დაუჭერია ეგზამენი სიტყვიერებისა და მეცნიერებისა. საყურადღებო ის არის, რომ ამ ეგზამენის დროს ეგზამენის ჩამომრთმევს ასაფეთქებელ ნივთიერებათა შესახებ უკითხავთ ანრისათვის და ანრისაც რიგიანი პასუხი მიუცია. ანრისთან ერთად ჩამოსული სამი ანარხისტა ჯერ ვერ უპოვნიათ. ეს ანარხისტები ლონდონიდგან არიან ჩამოსულები. საფრანგეთის და ინგლისის გაზეთები დიდად ჰკიცხავენ ინგლისს იმის გამო, რომ ლონდონი ანარხისტთა დედა-ბუნაგად გარდაქცეულა და ამ უკანასკნელ ყუმბარის აფეთქების შემდეგ მაინც მიღებული იქმნება საერთაშორისო რამ ღონის-ძიება ანარხისტთა წინააღმდეგაო.

როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი სროლა ყუმბარისა ყავახანაში ანარხისტებს ლონდონში გარდაუწყვეტიათ იანვრის თვეში. ლებრეტონ-ანრი მაშინვე ლონდონიდგან პარიზში წამოსულა და მისთანა მოაზრეებს ყუმბარა და ფული მიუციათ. ინგლისის გაზეთები ამ ამბავს არ უარ-ჰყოფენ და თავისს აზრს გამოსთქვამენ ამ საგნის შესახებ. „Times“-ი სწერს, რომ 2 და 3 თებერვალს ლონდონის ანარხისტთა კრებაზედ დიდი მუქარის ხმა გაისმოდა, და გაახსენეს მთავრობას, რომ დიდის პასუხის-მგებლობას კისრულობ, რა-კი ნებას აძლევ ინგლისის მიწა-წყალზედ მოამზადონ ის ბოროტი განზრახვა, რომელიც სხვა ქვეყნებში მოჰყავთ სისრულეშიო.

4 თებერვალს ლებრეტონ-ანრი გამოტყდა, რომ ოთხი ყუმბარა მქონდა მომზადებულიო: ერთი ყავახანაში ვესროლია, მეორე წარსულს კვირას „Société Générale“-ს დერეფანში იპოვნეს და ორი-კი ანარხისტებს წაუღიათ და აქამდე ვერ უპოვნიათ. ეს ყუმბარა თეატრში მინდოდა ამეფეთქებინა, მაგრამ ბილეთი ვერ ვიშოვნე და ისევ ყავახანაში ვარჩიე მისი აფეთქებაო. „Echo des Paris“-ში დაბეჭდილია გრძელი ხელთ-ნაწერი ლექსი ანრისა, რომელშიაც ანარხისტული აზრია გატარებული.

—

**ინგლისი.** ამას წინად გლადსტონის მდივანმა დიდი ალიაქოთი ასტეხა იმით, რომ დეპეშითა სწერდა, მოხუცი მინისტრ-პრეზიდენტი ძალიან მოუძლურდა და მშვიდობა, დასვენება ესაჭიროებაო. აი ეხლა ერთი ბიარროცელი ახალგაზდა მოგზაური რასა სწერს ინგლისის გაზეთებში გლადსტონთან შეხვედრის შესახებ:

„ერთს უამინდო საღამოს, როდესაც წვიმა კოკი-პირულად ასხავდა, საშინელი ქარიშხალი ჰქონდა და ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, სასტუმროდგან კლუბში მივეჩქარებოდი. თბილად ვიყავ შებორბლილი და ზღვის ნაპირად მოვდიოდი. ჩემდა საუბედუროდ, უეცრად ქარიშხალმა ამატრიალა და ხან იქით მახეთქებდა, ხან აქეთ.

ნახევარი გზა როგორც იყო გამოვირბინე ისე, რომ გზაზედ არავინ შემხვედრია, უეცრად დავინახე ჩემს ახლო მამავალი მოხუცი კაცი, რომელსაც ქოლგა გაუშლელი ეჭირა ჯოხსავით და ფეხით მიდიოდა. ამ კაცს პალტოც-კი არ ეცვა, მხოლოდ პაწია ქალური შალი ჰქონდა მხრებზედ წამოსხმული და ზედ ნიაღვარი დასდიოდა. ეს კაცი ინგლისის ოთხმოც-და-ოთხის წლის პირველი მინისტრი იყო, რომელიც წიმნდა ჰაერზედ გამოსულიყო.

«მე მიამბეს, რომ ლონდონშიაც აგრე იქცევა გლადსტონიო... ერთხელ გლადსტონი ლონდონის შორეულს უბანში იყო სტუმრად და როდესაც ყველანი, მოხუცნი და ჭაბუკნი, ეტლს ეძებდნენ შინ წასასვლელად და მინისტრ პრეზიდენტს დიდის ზრუნვითა ჰკითავდნენ, როგორ წაბრძანდებით სახლშიო? გლადსტონმა უპასუხა თურმე: »ფეხით გავივლი, გასეირნება მინდაო!“ და ცივს ზამთრის ღამეში, როდესაც ნისლ-ბურუსისაგან აღარა სჩანდარა, გლასტონმა ჯოხის რაკუნით ფეხით 5-6 მილი გაიარა.

„ბევრი დიდად მავნებლადა სთვლის მუშაობის შემდეგ ღამე სეირნობას და ამბობენ, რომ მავნებელია ჯანმრთელობისათვისაო. ლაბუშერმა ერთხელ ქუჩაში ნახა გლადსტონი, ცუდს ტაროსსა და ბნელს ღამეში, და საჯაროდ დაუწყო კიცხვა ასეთის საქციელისათვის. გლადსტონი ყველას იმას უპასუხებს, რომ ასე ცხოვრებით 84 წელს მოვატანე, ღონე არ შემომკლებია და გონება არ დამიკარგავს, რასაც ჩემზედ 20-ისა და 30-ის წლით ჭაბუკნიც ვერ დაიქადებენო. ჰაერზედ ყოფნა იმისათვის ისევე აუცილებლად საჭიროა, როგორც გონებრივი შრომა. სამართლიანობა თხოულობს აღვიაროთ, რომ გლადსტონის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთაც-კი თავ-მოსაწონებლად აქვთ ის გარემოება, რომ ეს დიდებული ინგლისელი ასე საოცრად არის შენახული.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ნიუ-იორკში დიდი სახელი და პატივი აქვს დამსახურებული ქ-ნ ალბერტის სასწავლებელს, რომელშიაც დეხწორს ქალებს ლამაზებად ჰქმნიან. ეს ქ-ნი იმ აზრისაა, რომ სახის გამომეტყველება ადამიანის გონებრივისა და ზნეობრივის არსების სურათიაო. თუ ასეა, მაშასადამე უოკელის სათნოებათა და გონიერი ღედაკაცი სახითაც მშვენიერი უნდა იყოს და ეს-კი ასე არ არისო. „ჩემთან მოდის ქალი. სახე მიმკრთალი აქვს, ფერ-წასული, ჩაყვითლებული, თვალები—

ჩამქრალი, ღიმილი—ცბიერი, ნაძალადევი, საზოგადო გამომეტყველება სახისა მკაცრი და არა—სასიამოვნო. მე აღზრდა უნდა დავუწყო, ჟეროვანი სანახაობა მივცე, წესიერს ცხოვრებას შევაჩვიო; სახე გავუკეთო ვარჯიშობით, გონებრივად და ზნეობრივად განვკურნო და ძარღვები დავუმშვიდო. თუ ჩემს დარიგებას მიჰყვა, სახით საუცხოო სანახავი იქმნება, ტუჩებზედ ღიმილი შეუთამაშდება, ადრე და მალე დახნეული ჭმუხვნება გაუქრება, ერთის სიტყვით, სრულიად შეიცვლება.“

რითი მკურნალობს მერე ქ-ნი ალბერტი მახინჯ ქალებს? თავისს აღზრდას იმითი იწყებს, რომ მოსწავლე ქალებს ასწავლის თვალების ტრიალს, ამ მხარეს, იმ მხარეს, ძირს დაშვებას, მაღლა ახედვას; იმას, თუ როგორ უნდა შეუხამონ თვალების ტრიალი თავიანთს სიტყვა-პასუხს და სხვათა ლაპარაკს. შესაფერს ადგილას როგორ უნდა მილულონ თვალი, ვნებათა ღელვა-დაიმჩნიონ, მწუხარება, ან მხიარულობა. ზოგიერთს ამისი უნარი არა აქვს და მეტად სულელურის შეხედულობისანი არიანო, ამბობს ქ-ნი ალბერტი.

ასწავლის აგრეთვე იმასაც, თუ ცხვირი როგორ უნდა ამოძრაონ, რომ უფრო მოხდენილი ჰქონდეთ, როგორ უნდა გაითვართონ და შეიკუმშონ ნესტოები. ტუჩებისათვისაც საჭიროა ვარჯიშობა და ამასაც ცოდნა და უნარი უნდა. ამისათვის მასწავლებელი თავისს მოსწავლეებს დიდხანს ავარჯიშებს და მრავალჯერ ხელოვნურად შედგენილს სიტყვებს ამეორებინებს. ამ მხრივ რომ გასწვრთნის მოსწავლე ქალებს, ქ ნი ალბერტი საზოგადო სწავლას იწყებს. ეს სწავლა მუსიკის შემწეობითა სწარმოებს. ამისათვის სამი კომპოზიტორია ამორჩეული. ქ-ნი ალბერტი ამტკიცებს, გამოცდილებით ვიცი, რომ ამ კომპოზიტორების მუსიკა სხვა-და-სხვა გვარად ჰმოქმედებს ქალების თვალებსა, ცხვირსა და ტუჩებზედაო. მაგალითებრ, შოპენის მელოდია გონიერს სახესა სდებს ქერა ქალებსაო; ვაგნერის მუსიკა უფრო შავგვრემანებს უხდებაო. დასასრულ, ვერდის ორივესათვის გამოსადეგია, ორივე გრძნობას უღვიძებს, ამის გამო თვალები უდიდრონდებათ და უფრო სანდომიანნი, ეშხიანნი სდებიანო.

ამას გარდა ქ-ნი ალბერტი თავისს მოსწავლე ქალებს ასწავლის კისრისა, ნიკაპისა და შუბლის ხმარებას. ვინ იცის, რამდენი ვარჯიშობა უნდა, რომ ახალგაზდა ქალმა ნაზად კისრის გადაგდება, შუბლის შეჭმუხვნა და ნიკაპის ტუჩების მოძრაობის კვალობაზედ შეთამაშება ისწავლოსო. შემდეგ მოსწავლეები სწავლობენ იმას, როგორ უნდა ისხდნენ ეტლში, ეტლიდგან როგორ უნდა გადმოვიდნენ, როგორ უნდა იარონ და, მეტადრე, როგორს წოლას უნდა მიეჩვივნენ ძილის დროს. ქალების უმეტესობამაო, ჰზრძანებს ქ-ნი ალბერტი, წესიერად წოლა არ იციან, მუთაქებსავით მიწვებიან და ამის გამო მახინჯდებიან, დუხჭირს მიხვრა-მოხვრასა და სიარულს ეჩვევიანო.

## გასართობი

—

დიდებულმა კონდემ ბურგონის ერთს პაწია ქალაქზედ გაიარა. ქალაქის მოურავი სხვა მოხელეებთან ერთად მიეგება ქალაქის კარებთან და შემდეგი სიტყვა უთხრა:

— ხელმწიფეო! თუმცა ჩვენი ქალაქი იმ ალაქთა შორის, რომელიც განგებას თქვენის მმართველობისათვის ურგუნებია, დიდად პატარაა, მაინც სიამოვნებით დაგიმტკიცებდათ ერთგულებას. კარგად ვიცით, რომ დიდად გასიამოვნებდით და მოგეწონებოდით, ზარბაზნების სროლით რომ დაგხვედროდით. თუმცა გულით ძალიან მოწადინებულნი ვიყავით ამას, მაგრამ ვერ შევიძელით შესრულება შემდეგის თვრამეტის მიზეზისა გამო: ჯერ ერთი, ზარბაზანი არასოდეს არა გვქონია...

— მაგ ერთმა მიზეზმაც ისე დამაკმაყოფილაო, შეაწყვეტინა სიტყვა პრინცმა: რომ განმითავისუფლებიხართ დანარჩენ შვიდმეტის მიზეზის დასახელებისაგან.

**

ქორწინების რამდენისამე თვის შემდეგ ყმაწვილმა კაცმა აცნობა თავისს სიმამრს, რომ ჩემი ცოლი დაწვა, ვაჟი-შვილი მიეცა და, მაშასადამე, თქვენ მე მომატყუეთო.

სიმამრი მაშინვე გაეშურა იმისაკენ და შეეკითხა:

— ყმაწვილო, მაგ ფიქრმა როგორ გაგიარა? განა რამდენი ხანია, რაც ჩემს ქალზედ ჯვარ-დაწერილი ხართ?

— ხუთი თვე.

— ის რამდენი-და ხანია, რაც მოგთხოვდათ?

— ხუთი თვეა.

— მაშ სხვა რაღა გინდათ? ათი თვე შესრულებულა კიდეცაო.

**

ერთს კაცს მეცნიერების შორს-მხედველობა ძალიან აკვირვებდა და წამოიძახა:

— წარმოიდგინე, იმასაც-კი ადრევე შეიტყობენ მზე როდის უნდა დაბნელდეს და მთვარე როდისაო!

— მაგას რა დიდი სიბრძნე უნდაო, უპასუხა მეგობარმა: გუნიას კალენდარიდგან ამოიკითხავენ ხოლმეო.

## გამოსადეგი ცნობა

—

მარილი როგორც წამალი ქარებისა. მკურნალი ტალზინი მრავალის გამოცდილების შემდეგ ურჩევს ამ საშუალებას ქარებით ავადმყოფისათვის: ავადმყოფს მტკივანი დასიებული ალაგი კარგად დაუზილეთ 15 წუთს სველის მარილით დღეში სამჯერ. დანარჩენს დროს გაუკეთეთ მარილის ტილო: იმ ადგილზედ, რომელიც სტკივა, დაადეთ სველი მარილი და შეუხვიეთ კლიონკით და უოკელ ოთხ საათში გამოუცვალეთ. ზემოხსენებულის მკურნალის სიტყვით, ეს წამალი თუ რიგზედ იხმარეს, სიმსივნეც დაცხრება და ტკივილიც გაივლის.

# დეპეშა

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია, რომ ფინანსთა მინისტრს ნება აქვს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების მაგიერ დააწესოს კრება ამორჩეულ სანდო კაცთა. ასეთივე ნება აქვს საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა შესახებაც.

**ბერლინი.** დღეს პარლამენტის კრებაში აგრარიებ შორის სჩანს ჰერბერტ ბისმარკი, მ ნისტრების ტრიბუნებზე—მიკელი, რომელიც მოვიდა იმიტომ, რომ უნდა უარჰყოს ხმა, ვითომ იგი ხელ-შეკრულობის წინააღმდეგია. დოქტორმა ჰარტმანმა სამხრეთ-გერმანიის დემოკრატების სახელით ილაპარაკა ხელ-შეკრულობის სასარგებლოდ; გრაფმა კანიცმა საშინელი ომი გამოუცხადა ხელ-შეკრულობას და როცა ჩამოვიდა ტრიბუნიდამ, დიდი ტაშის-კვრა ასტყდა აგრარიებ შორის და შუა-გულ დასის წევრთაგან; მიკელმა კანიცის წინააღმდეგ ილაპარაკა და სთქვა, რომ მორიგება სრულიად არ ემუქრება ჩვენის სახემწიფოს ფინანსებსაო; ათის წლის ვადა სასარგებლოა, და არა მავნებელიო; მთავრობა ყოველის ღონისძიებით ეცდება დაეხმაროს ხვნა-თესვის საქმეს; პრუსიის მეთაურმა კოსტელსკიმ გამოაცხადა, რომ პოლშელთა დასი ყოყმანშია იმ დრომდე, ვიდრე კომისია გამოარკვევდეს საქმესაო; ფონკარდორფმა სთქვა, რომ მორიგების მომხრე ვიქმნებოდი, დარწმუნებული რომ ვიყო, მორიგება გაამტკიცებს მშვიდობიანობის საქმესაო; პირ-იქით, დარწმუნებული ვარ, ეგ მორიგება უფრო გაამწვავებს საპოლიტიკო ყოფას. რეიხსტაგმა თავისუფალ მოაზრეთა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ გადასწყვიტა, გადაეცეს მორიგება კომისიას, რომელშიაც 28 კაცი იქმნას დანიშნული წევრებადაო.

**ლონდონი.** შაბათს გლადსტონი ინახულებს დედოფალს და მიართმევს თხოვნას სამსახურიდამ გადადგომისას. დედოფალი პირველ-მინისტრის ადგილს უბოძებს ლორდ როზბერის. ფიქრად არა აქვთ დაუყოვნებლივ პარლამენტის დათხოვნა. გლადსტონი საზოგადოებათა პალატაში კვლავ იქმნება, ხოლო კაბინეტს-კი თავს დაანებებს. გლადსტონის თვალთა სინათლობა სწრაფად უსუსტდება მას დღეს აქეთ, რაც ჩესტერის სადგურზე ვიღამაც თვალში გამხმარის პურის ნაჭერი ესროლა.

19 თებერვალი

**ვენა.** კვირას ქ. პეშტში იქმნება ავსტრიისა და უნგრეთის მინისტრთა თათბირი შესახებ სავაჭრო ხელ-შეკრულობისა რუსეთთან.

**ლონდონი.** გუშინ გლადსტონმა თავის მეუღლითურთ ისადილა დედოფალთან და დღეს თხოვნა უნდა მიართვას სამსახურიდგან გამოსვლის შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩოხატაურის გამომძიებელს თავადს ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, რომელმაც გურიის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირა სამი მანეთი და სამუდამო წევრადაც ჩაეწერა.

წიგნ-საცავის დამაარსებელთაგანი
ვისია თავდგირიძე

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,52 | 7,54 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 150¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243½ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 226½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 98¼ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 100⅜ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 98¼ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¼ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.** იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ.** სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ.** სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½** საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1** საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½** საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო, 6—7 საათ.** სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½** საათამდის.

**ე. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ.** სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**თუმანი მიეცემა ჯილდოდ,**

ვინც წარმოადგენს სანადირო ძაღლს, გორდონის ჯიშისას, რომელიც ამთვის 16-ს დაიკარგა. ძაღლს თვალებს ირგვლივ შავი და ყვითელი ლაქები აქვს, ტანზედ ირგვლივ გრძელი თმა აყრია.

ადრესი: ანდრიას ქუჩა, სახლი № 12, პოლკოვნიკი ორლოვის სადგომი. (1—1)

**შვედურს მაღაზიაში;** მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი **„თესლეულობა“** ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის **„ფქვილი და კრუპა“** დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა **„პრიმუს“** რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (10—3)

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—166)

ქალაქის სამკურნალო

(მუხრანიანთ ქუჩა, სახ. ყუზანოვისა № 15)

დაარსებულია ტფილისის მოქალაქეთაგან 1866 წლის 4 აპრილის სახსოვრად გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა-დღეებს გარდა, ზამთრობით დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე, ხოლო ზაფხულობით (ივნისს, ივლისს და აგვისტოს) 8—12 საათამდე.

ვ. მ. არწრუნი—სნეულებანი: შინაგანი, ნერვებისა და ყმაწვილებისა 10½—12 საათ.

კ. ა. გონიევი—სნეულებანი: შინაგანი და ყმაწვილებისა 10½—12 საათ.

გ. გ. გულუღლიანცი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—დედათა ავადმყოფობანი 9—11 საათ.

ნ. გ. ყასუმოვი—სნეულებანი შინაგანი და ყმაწვილებისა 11—1 საათ.

ს. ნ. ლევინი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

მ. ა. მირაქოვი—შინაგანი და ვენერიული 12—1 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით).

ა. გ. მურზაევი — სნეულებანი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 9—10 საათ. (ყოველ-დღე ხუთშაბათს გარდა).

ქალი-ექიმი ლ. ა. მუხარინსკისა—დედათა სნეულებანი 11—12 საათ.

ი. ა. რაზამატი — სნეულებანი: შინაგანი, ყმაწვილებისა და ტკივილი კბილებისა 9—10 საათ.

მ. ა. რეხტზაბერი—სნეულებანი: შინაგანი და ნერვებისა 11—12 საათ.

გ. ნ. სტეფანოვი—სნეულებანი: შინაგანი, ასოთა და ვენერიული 11—12 საათ.

გ. ა. თარხანოვი—სნეულებანი: შინაგანი და ხირურგიული 12—1

ქალი-ექიმი ს. ა. შმიტცი—სნეულებანი დედათა და ტკივილი თვალებისა 11—12 საათ.

დანტისტი ა. ო. ორბელი—ტკივილი კბილებისა 10—11 საათ.

კონსილიუმი არის ხოლმე სამშაბათობითა და პარასკევობით 12—1 საათ.

ყვავილის აცრა ოთხშაბათობითა და შაბათობით 9—1 საათ.

ავლაბრის განყოფილება

(კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა)

მ. ა. ქალანთარი 11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა 11—12 (სამშაბათობითა და პარასკევობით)

ხარფუხის განყოფილება

(აბანოების მოედანი, სახ. ენფიანჯიანცისა)

გ. ბ. ტერ-ასატუროვი—11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—12—1 საათ. სამშაბათობითა და პარასკევობით.

შენიშვნა. სამკურნალო რჩევა-დარიგება და წამლები მიეცემათ უსასყიდლოდ სამკურნალოს ხარჯით მარტო შეუძლებლებსა.

გამგე ქალაქის სამკურნალოსი გ. სტეფანოვი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
## წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |



სამეურნეო გაზეთი
## „მეურნე“
გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთის პროგრამმა:

I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ.
II სამეურნეო ეკონომია.
III წერილები ხვნა-თესვაზედ, ბაღოსნობაზე, მებოსტნობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
IV სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მეხანიკა.
V ვეტერინარობა (ბეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
VI მეურნეობის ამბები და კორესპონდენციები.
VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
X ცნობები თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
XII ნარკვევი,
XIII კითხვა-პასუხი.
XIV სურათები.
XV გამოსადეგი ადრესები.
XVI განცხადებანი.
XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ტფილისში წლით 4 მანეთი | ტფილისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ამ ნომრიდან გაზეთში მოღვაწეობენ ახალნი თანამშრომელნი, რომელთა მეოხებით რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ იგი პირნათლად აასრულებს თავისს მოვალეობას.

ვისაც „მეურნის“ გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ტფილისში „მეურნის“ რედაქციაში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას“; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას, ჭყონიას სახლში და წიგნის მაღაზიებს: ძმ. ჭილაძესა, ძმ. წერეთელთა და კ. ბეჟანეიშვილისას; დ. ყვირილაში თ. ხუსკივაძეს; ჯიხაიშს დავით ლევანის ძეს დოლობერიძეს, ოზურგეთს და ახალსენაკში კ. თავართქილაძის სტამბებს და ბათომში პავლე შ. ჭყონიას, დამოყნის მოხელეთა სადგომში.

გაზეთში დასაბეჭდად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. თითოჯერ ბწკარის დაბეჭდვა ეღირება პირველ გვერდზე აბაზი და უკანასკნელზედ—ორი შაური.

„მეურნეში“ დასაბეჭდად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთათურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროების-დაგვარად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ-მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რეუტის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტორის განყოფილება ქუთაისში, ჭყონიას სახლში. (5—2)



გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ვალ. გუნიას მიერ
შედგენილნი და გამოცემულნი
## საქართველოს კალენდარი 1894 წ.
წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასს, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.
ფასი 50 კაპ.
## უბის წიგნი 1894 წლისათვის
მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.
ფასი 40 კაპ.
## საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.
მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.
ფასი 20 კაპ.
## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის
შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით
ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.
უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.



## „ივერია“
ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.





**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქალალდები სუმრველს საჩქაროდ გაეგზავნება.






„ნევის კაპრიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ͩ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—31)



**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**
(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტინი
Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)
საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.
უპირატესად საუკეთესო ლიკიორთა შორის



VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რო, ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდე, დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ͩ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.